# წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## დადგენილება №5

## 2011 წლის 11 თებერვალი

## ქ. წალკა

## წალკის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

1. დამტკიცდეს წალკის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულება (დანართი: 1 (2 ფურცელი)).

2. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე  დ. მაჩიტიძე**

**შეტანილი ცვლილებები:**

1. წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 4 მარტის დადგენილება №17 - ვებგვერდი, 17.03.2011წ.

*დანართი*

## წალკის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულება

### მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. წალკის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური (ტექსტში შემდგომ – სამსახური) არის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა მუნიციპალური პროგრამების შემუშავებასა და განხოლციელებას.

2. სამსახური თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, საქართველოს კანონებით, კანონქვემდებარე აქტებით, გამგეობის დებულებით, ამ დებულებით და წალკის მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით.

3. სამსახურის საშტატო განრიგი განისაზღვრება გამგეობის საშტატო ნუსხით. სამსახურის მოხელეთა თანამდებობრივ სარგოებს კანონმდებლობით დადგენილი ნორმატივების ფარგლებში განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

*წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 4 მარტის დადგენილება №17 - ვებგვერდი, 17.03.2011წ.*

### მუხლი 2. სამსახურის ფუნქციები და ამოცანები

სამსახურს გააჩნია შემდეგი ფუნქციები:

ა) *განათლების კუთხით:*

ა.ა) განათლების მუნიციპალური პროგრამების შემუშავება;

ა.ბ) განათლების მუნიციპალური პროგრამების განხორციელების უზრუნველყოფა;

ა.გ) სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვა;

ა.დ) საქართველოს კანონმდებლობის და წალკის მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტების შესაბამისად სხვა ფუნქციების განხორციელება.

ბ) კულტურის კუთხით:

ბ.ა) კულტურის მუნიციპალური პროგრამათა შემუშავება და მათი განხორციელების უზრუნველყოფა;

ბ.ბ) მუნიციპალური მუზეუმების, თეატრების, კულტურის სიახლეების, ბიბლიოთეკების და კულტურის სხვა დაწესებულებების მართვა;

ბ.გ) ადგილობრივი კონკურსების, ფესტივალების, გამოფენების, შეჯიბრებების და სხვა კულტურული ღონისძიებების ჩატარების ორგანიზება და კოორდინაცია;

ბ.დ) სხვა მუნიციპალიტეტებთან კულტურის სფეროში ურთიერთობის და თანამშრომლობის ორგანიზება და კოორდინაცია;

ბ.ე) საქართველოს კანონმდებლობის და წალკის მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტების შესაბამისად სხვა ფუნქციების განხორციელება.

გ) სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კუთხით:

გ.ა) სპორტის მუნიციპალური პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელების კოორდინაცია;

გ.ბ) სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის საჭირო პროგრამის შემუშავება და განხორციელება, ადგილობრივი სპორტული ობიექტების მართვა, მოვლა-პატრონობა და რეაბილიტაცია, მათი მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების დაფინანსებისთვის საჭირო პროგრამის შემუშავება:

გ.გ) განსაკუთრებით ნიჭიერ ბავშვთა, სპორტსმენთა, ახალგაზრდა შემოქმედდთა გამოსავლენად შესაბამისი გარემოს შექმნა და მათი ხელშეწყობა; ახალგაზრდების შორის ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია;

გ.დ) საქართველოს კანონმდებლობის და წალკის მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტების შესაბამისად სხვა ფუნქციების განხორციელება.

**მუხლი 3. სამსახურის უფლებამოსილებანი**

ანგარიშვალდებულია წალკის მუნიციპალიტეტის გამგებლის და საკრებულოს წინაშე და თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლებამოსილია:

ა) კოორდინაცია გაუწიოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ყველა მიმართულებას, გააუმჯობესოს მათი მდგომარეობა;

ბ) უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში გამგებელთან შეთანხმებით მოიწვიოს დარგის სპეციალისტი;

გ) შეიმუშაოს და გამგებელს წარუდგინოს წინადადებები მუნიციპალური კულტურის და სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის საჭირო კაპიტალური მშენებლობის, რეკონსტრუქციაზე და სარემონტო სამუშაოებზე;

დ) მოისმინოს სამსახურის საქმიანობის სფეროსადმი განკუთვნილი, თვითმმართველი ერთეულის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ხელმძღვანელთა ანგარიშები და შეამოწმოს მათი მუშაობა.

*წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 4 მარტის დადგენილება №17 - ვებგვერდი, 17.03.2011წ.*

**მუხლი 4. სამსახურის სტრუქტურა**

1. სამსახურის საქმიანობას ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი. სამსახურის უფროსის უფლებამოსილებები და სამსახურებრივი ფუნქციები განისაზღვრება წალკის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულებით და სამსახურის უფროსის სამუშაოთა აღწერილობით. უფროსის არყოფნის შემთხვევაში მის უფლება-მოვალეობებს გამგებლის დავალებით ასრულებს სამსახურის ერთ-ერთი სპეციალისტი.

2. სამსახურის მოხელეთა უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება შესაბამისი სამუშაოთა აღწერილობით.

3. სამსახურის მოხელეთა თანამდებობაზე დანიშვნა-განთავისუფლება განისაზღვრება წალკის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულებით და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით.

**მუხლი 5. გარდამავალი დებულებანი**

ამ დებულების დამტკიცება, გაუქმება და მასში ცვლილებების შეტანა ხდება წალკის მუნიციპალიტეტის დადგენილებით.